ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №115/8

„08" „მაისი" 2014 წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბუგასი"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ხუჭუას სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულებისათვის სამუშაო ტანსაცმელის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები– 18100000, დეტალური CPV-18141000 – სამუშაო ხელთათმანები) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **2997** (ორიათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტების მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ჯამური ღირებულება მითითებულია ხელშეკრულების დანართ #1-ში.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში დანართ #1-ში მითითებული მიწოდების ადგილისა და პირობების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიღებისას შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების დანართი №1 -ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს საქონლის შემოწმებას და ადგენს შესაბამის შუალედურ ინსპექტირების დასკვნას.

5.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.4. მიმწოდებელმა მიწოდების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი შუალედური ინსპექტირების

დასკვნები, შემსყიდველის ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების მიწოდებული საქონლის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.5 ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი".

5.6. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმეტების საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების საბოლოო კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან მიწოდებულ საქონელზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ინსპექტირების დასკვნის და საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.6. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) არაუგვიანეს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებში.

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.13. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით შემსყიდველისაგან შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1.სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.11თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება,
აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.4. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. საქონლის მიწოდების ვადების და მიწოდებული საქონლის რაოდენობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართ №1 -თან შესაბამისობის დადგენა, შუალედური ინსპექტირების დასკვნის შედგენა და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე საბოლოო კონტროლის განხორციელება, საბოლოო ინსპექტირების დასკვნის შედგენა, მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

15.2.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

15.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", სამი _ „შემსყიდველთან"

შემსყიდველი	„მიმწოდებელი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"	შპს „ბუგასი"
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა	ქ. თბილისი, დიდუბის რ–ნი ქუთაისის ქ.#21/14
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი № TRESGE22	კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	ა/ა № GE50BG0000000247890200
ს/კ № 205169592	ს/კ №202431029
მარინა მესხი დირექტორი	გოჩა ხუჭუა დირექტორი

#	დასახელება	ფილიალი	მისამართი	CPV-კოდი	ზ/ე	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი	ქ.თბილისი ქინძმარაულის I შესახვევი #1 მე-2 სართული	18141000	ცალი	70	0.9	63
2	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი	ქ.თბილისი ქინძმარაულის I შესახვევი #1 I სართული	18141000	ცალი	40	0.9	36
3	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი	ქ.თბილისი თემქის დასახლება 11მ/რ მე-2 კვრ.	18141000	ცალი	450	0.9	405
4	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი	ქ.თბილისი ნუცუბიძის ქ.#3	18141000	ცალი	260	0.9	234
5	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი	ქ.თბილისი გლდანი/ნაძალადევის რ-ნი ქერჩის ქ.#4	18141000	ცალი	200	0.9	180
6	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი	დაბა კოჯორი, რუხაძის ქ.#10	18141000	ცალი	300	0.9	270
7	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	მარტყოფის შშმპ პანსიონატი	გარდაბნის რ–ნი, სოფ.მარტყოფი	18141000	ცალი	500	0.9	450

8	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	დუშეთის შშმპ პანსიონატი	დუშეთის რ–ნი სოფ.პირმისაანთკარი	18141000	ცალი	280	0.9	252
9	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი	ქ.გორი გოგებაშვილის ქ.#40	18141000	ცალი	50	0.9	45
10	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	ძევრის შშმპ პანსიონატი	თერჯოლის რ–ნი სოფ.ძევრი	18141000	ცალი	500	0.9	450
11	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი	ქ.ქუთაისი განჯის ქ.#15/2	18141000	ცალი	50	0.9	45
12	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი	ქ.ქუთაისი სოლომონ მე-2–ის მე-4 ჩიხი	18141000	ცალი	450	0.9	405
13	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	სენაკის შშმპ ბავშვთა სახლი	სენაკი, კობახიძის ქ.#9	18141000	ცალი	150	0.9	135
14	რეზინის საყოფაცხოვრებო ხელთათმანები	ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი	ქ.ბათუმი, ხახულის ქ.#2	18141000	ცალი	30	0.9	27
							ჯამი	**2997**

შემსყიდველი
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს "ბუგასი"

გოჩა ხუჭუა
დირექტორი